

შპს „ნატფუდ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება.....	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	6
ფინანსური ინსტრუმენტები	7
წინა პერიოდის შეცდომების გასწორება.....	13
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	14 -18

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნები	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	7	369 977	328 312	268 587
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	267 454	535 215	229 339
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები				
სხვა მოკლევადიანი აქტივები		15491		545
სულ მიმდინარე აქტივები		652 922	863 527	498 471
სასაქონლო მატერიალური მარაგები				
მზა პროდუქცია	9	102 376	150 537	107 623
სხვა		3653	360	776
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები		106 029	150 897	108 399
გრძელვადიანი აქტივი				
სხვა არამატერიალური აქტივები	6	1 600	1 852	1 306
ძირითადი საშუალებები	5	611 354	534 656	85 638
სხვა გრძელვადიანი აქტივები	10	1 998	758	
სულ გრძელვადიანი აქტივი		614 952	537 266	86 944
სულ აქტივები		1 373 903	1 551 690	693 814
კაპიტალი & ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	11	1 081 635	1 588 237	1 411 758
საგადასახადო ვალდებულებები		44 694	20 351	27 589
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		189 414	276 831	
სხვა ვალდებულებები		-	-	-
სულ ვალდებულებები		1 315 743	1 885 419	1 439 347
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	17	57 160	(334 729)	(746 533)
გადაფასების რეზერვი		-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		1 000	1 000	1 000
სულ საკუთარი კაპიტალი		58 160	(333 729)	(745 533)
სულ საკუთარი კაპიტალი & ვალდებულებები		1 373 903	1 551 690	693 814

შპს „ნატფუდ საქართველო“-ს დირექტორი
ერიკ სარგსიანი



ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნები	31.12.2023	31.12.2022
მოგება - ზარალის ანგარიშგება			
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	12	3 187 243	2 877 446
გაყიდვების თვითღირებულება	13	(1 932 641)	(1 840 400)
საერთო მოგება		1 254 602	1 037 046
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება		(726 490)	(695 635)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(15 573)	(10 370)
საპროცენტო ხარჯი		(22 014)	(2 228)
იჯარის ხარჯი		(26 237)	(23 271)
სხვა ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(58 693)	(62 897)
სულ საოპერაციო ხარჯი	14	(849 007)	(794 401)
საოპერაციო მოგება		405 595	242 645
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	15	(10 308)	167 936
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	16	(3 398)	1 223
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		391 889	411 804
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		391 889	411 804
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		391 889	411 804
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		391 889	411 804
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		(333 729)	(745 533)
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		58 160	(333 729)

შპს „ნატფუდ საქართველო“-ს დირექტორი

ერიკ სარგსიანი



ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	მთლიანი კაპიტალი
31.12.2021	1 000	(746 533)	(745 533)
სხვა სრული შემოსავალი	-	(334729)	(334729)
გადახდილი დივიდენდი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილება	-	-	-
31.12.2022	1000	-334 729	-333 729
სხვა სრული შემოსავალი	-	57160,00	57160,00
გადახდილი დივიდენდი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილება	-	-	-
31.12.2023	1000	57160,00	58160,00

ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარში

	31.12.2023	31.12.2022
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	328 312	268 587
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	41 665	59 725
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
	41 665	59 725
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)		
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	369 977	328 312

შპს „ნატფუდ საქართველო“-ს დირექტორი
ერიკ სარგსიანი

კომპანიის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გაცა 2024 წლის 20 სექტემბერს.

ანგარიშგების დარედაქტირების თარიღია 1 ნოემბერი 2024წ.



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ნატფუდ საქართველო“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2015 წლის 14 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია საქარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 405138113

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ხორცპროდუქტების (ბასთურმა, სუჯუხი, ნედლად შებოლილი და მოხარშული ძეხვეულობა) იმპორტს სომხეთის რესპუბლიკიდან შემდგომი დისტრიბუციით(რეალიზაციით) საქართველოს მაშტაბით ხოლო არამძირითადი საქმიანობას მიეკუთვნება უცხოური პარტნიორ კომპანიებისთვის სხვადასხვა ქვეყნებიდან გაყიდული ნედლი ხორცი და მსგავსი პროდუქციის ჩამოტანა, რომელიც მთლიანად გადის რეექსპორტით საქართველოდან.

კომპანიას იჯარით აქვს აღებული 2 საწყობი : ქ. თბილისი, სამგორის ქ. 16 და ქ. ახალქალაქი, კეცხოველის ქ. 12. 2023 წლის ბოლოსთვის კომპანიამ გაარემონტა თავისი უძრავი ქონების(ქ. თბილისი, მესხეთის ქ. 145) ნაწილი საოფისედ (მიწა ზედ მოთავსებული შენობა ნაგებობით) და ასევე მოამზადა სარემონტოდ სასაწყობე ადგილი იმავე მისამართზე რომელიც მომავალ წელს დასრულდება.

2023 წელს კომპანიის იურიდიული მისამართი შეიცვალა კუთვნილ უძრავ ქონების მისამართზე და ამჟამად არის: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, მესხეთის ქუჩა 145.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალფა თრეიდიנג“(51211610, 282.110.1033739 /სომხეთი/), კომპანიის დირექტორია **ერიკ სარგსიან**.

2023წლის 31 დეკემბრისა კომპანიის თანამშრომლების საშუალო რაოდენობა იყო 14 ადამიანი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

არსებული ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკასა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებები და ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარებში- დამრგვალებული უახლოეს ლარამდე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი კალენდარული წელია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს წელიწადში ერთხელ.

ფინანსური ანგარიშგება შედგება: 2021-2022-2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის, 2022-2023 წლის საქმიანობის შედეგების და 2022-2023 წლების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და გააგრძელებს მოღვაწეობას მომავალში. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის.

3. ფინანსური ინსტრუმენტები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აისახება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის საქართველოს ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული მუხლები ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის გადაანგარიშდება ამ თარიღისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ანგარიშგების მომზადებისას:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
1 აშშ დოლარი/ლარი	2,6894	2,7020
1 ევრო/ლარი	2,9753	2,8444

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებელს, ანაზღაურებად შემენის გადასახადებსა და სხვა პირდაპირ მიკუთვნებულ გადასახადებს. რემონტისა და მოდერნიზაციის ხარჯები, რომლებიც მნიშვნელოვნად ზრდის აქტივის ექსპლუატაციის ვადას ან წარმადობას, აღირიცხება აქტივის ნაწილად და ემატება მის საბაზრო ღირებულებას. სხვა ტექნიკური მომსახურების ხარჯები კი აღირიცხება ხარჯად.

აქტივებისთვის ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება თანაბრად განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით. წრფივი ამორტიზაციის მეთოდი გამოიყენება, რადგან ის უზრუნველყოფს აქტივის ღირებულების თანაბარ განაწილებას ექსპლუატაციის პერიოდში. საექსპლუატაციო ვადები პერიოდულად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება.

ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები ცვალებადია აქტივის ტიპის მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები	60 წელი
მიწა	
კომპიუტერული ტექნიკა	8-10 წელი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5-10 წელი
ავტომობილები	10 წელი
ელექტრო მოწყობილობები	8-10 წელი
სხვა ძირ. საშუალებები	8-10 წელი

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივების ჩამოწერისას (გაანგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის საქმიანობის შედეგების ანგარიშში.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (ლიცენზიები) (10 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში. თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ამონაგები

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები თანხის რეალური ღირებულებით, ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ-ს) გამოკლებით. კრედიტით გაყიდვების შემთხვევაში, შემოსავალი აღიარებულია მაშინ, როცა საქონელი მიწოდებულია და საკუთრების უფლება მყიდველს გადაეცა, მიუხედავად გადახდის თარიღისა. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება. შემოსავლის კორექტირება ხდება დაბრუნებებისა და ფასდათმობების გათვალისწინებით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც

დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი წამოიქმნება საქონლისა და მომსახურების კლიენტისათვის გადაცემისას, რომლის გადახდის ვალდებულება კომპანიას წარმოექმნება არა უგვიანეს ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. გადასახდელი დღგ მცირდება ჩასათვლელი (გადასახადის გადამხდელის უფლება შეიმციროს გადასახადები) დღგ-ს თანხებით ჩათვლის დოკუმენტის არსებობის პირობებში. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ კომპანიებს განეტონ დღგ-ს გადასახდელი და ჩასათვლელი თანხები. გაყიდვასთან ან შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხებით. როდესაც მოსალოდნელია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურების ხარჯი აღირიცხება ბრუტო თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

კომპანია ანარიცხებს აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად წარმოიქმნება მიმდინარე ვალდებულება, მოსალოდნელია რესურსების გადინება და ვალდებულების ოდენობა შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ. პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება. პირობითი ვალდებულებები აისახება მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება. ის აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, თუ მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

აქტივის თვითღირებულება

არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით. ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

შრომის ანაზღაურების აღრიცხვა

ხელფასები, პრემიები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

შრომის ანაზღაურება წარმოებს ინდივიდუალური სისტემით შრომითი კანონმდებლობისა და კომპანიის მიერ დამტკიცებული საშტატო განაკვეთის შესაბამისად;

შვებულების დღეთა რაოდენობა განისაზღვროს 24 სამუშაო დღით, ხოლო საშუალო დღიური ხელფასი - 30 კალენდარული დღის გათვალისწინებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, შეზღუდულ და შეუზღუდავ ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ,

მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითადი საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება წლის ბოლოს წარმოადგენს ყველა გადასახადისა და მთლიანი გადახდების ნეტო შედეგს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულებები, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს ისეთ პროდუქტებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ვარგისიანობის ვადის განმავლობაში. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შეძენის პირდაპირ ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებსა და ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია მარაგების შეძენასთან. ვადის გასვლის ან ხარისხის დაქვეითების შემთხვევაში, მარაგები ჩამოიწერება. მარაგების აღრიცხვა და თვითღირებულების დადგენა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს ხარჯების თანაბარ განაწილებას მარაგების ერთეულებზე.

მზა პროდუქციის რაოდენობა მუდმივად ივსება რეალიზებული საქონლის პროპორციულად, ნედლეული და მასალები განკუთვნილია ადმინისტრაციული და სასაწყობო მოთხოვნებისთვის და ასევე სამშენებლო-სარემონტო მასალების არსარიცხავად.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ყველა იმ ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის ოპერაციულ საქმიანობასთან. ამგვარი ტიპის ხარჯები მოიცავს გაცემულ შრომით ანაზღაურებას და საპენსიო შენატანებს, კომუნალურსა თუ კომუნიკაციის ხარჯებს, ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯებს, სამეურნეო მარაგების ხარჯებს, საოფისე მარაგების შეძენას, სამართლებრივ და საკონსულტაციო მომსახურებებს, საწვავის ხარჯებს და საოფისე ტექნიკის მოვლასა თუ რემონტს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, ე.წ. "ესტონური მოდელის" საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ამ მოდელის მიხედვით, კომპანიას არ უწევს მოგების გადასახადის გადახდა, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება დივიდენდების ან სხვა ფორმით. ეს სისტემა კომპანიას საშუალებას აძლევს მოახდინოს მოგების რეინვესტირება საქმიანობაში საგადასახადო ტვირთის გარეშე, სანამ არ მიიღებს გადაწყვეტილებას მოგების განაწილების შესახებ. მოგების განაწილებისას, გადახდა ხდება 15%-ის ოდენობით დივიდენდების სახით გაცემული მოგების ნაწილზე.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება /ზარალი

კომპანიის კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება ანდა ზარალი 2023 წელს განისაზღვრებოდა კონვერტაციისა და ანგარიშების გადაფასების შედეგად მიღებული შედეგებით.

სასამართლო დავები

კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ასახულია წინამდებარე ანგარიშგებაში. ხოლო მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, აისახება ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

პირობითი ვალდებულება

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიას პირობითი ვალდებულება არ გააჩნია

4.წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

კომპანიის ხელმძღვანელობამ მოახდინა შეცდომის იდენტიფიცირება 2023 და 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებებში, შესაბამისად მოხდა წინა საანგარიშგებო პერიოდის ბალანსების და საოპერაციო შედეგების გადახედვა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მსგავსი სახით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს.

2022 და 2023 წლის კორექტირებები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

2022 წლის პერიოდის შეცდომების აღწერა	2022 წელი		
	ადრე წარდგენილი	გადაანგარიშების შემდეგ	სხვაობის ეფექტი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	537637	535215	-2422
სხვა მოკლევადიანი აქტივები	758	0	-758
მზა პროდუქცია	151029	150537	-492
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	758	758
სავაჭრო ვალდებულებები	1586488	1588237	1749
საგადასახადო ვალდებულებები	17552	20 351	2799
გაყიდვების თვითღირებულება	-1839908	-1840400	492
სხვა ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	-61981	-62897	916
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან	172137	167936	-4201
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	3076	1223	-1853

2022 წლის ბოლოს კაპიტალის მოგება/ზარალი -3 26 267ლარის (ზარალი)-ნაცვლად დაფიქსირდა -333 729 ლარის(ზარალი) კორექტირების ჯამური სხვაობა -7 462 ლარი

მიმდინარე(2023 წლის) პერიოდის აღწერა/გასწორება :

2023 წლის პერიოდის შეცდომების აღწერა	2023 წელი		
	ადრე წარდგენილი	გადაანგარიშების შემდეგ	სხვაობის ეფექტი
სხვა არამატერიალური აქტივები	2542	1600	-942
სხვა მოკლევადიანი აქტივები	10922	15491	4569
ძირითადი საშუალებები	616980	611354	-5626
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	1998	1998
გაყიდვების თვითღირებულება	-3067756	-1932641	1135115
საგადასახადო ვალდებულებები	40750	44 694	3944
სხვა ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	-58499	-58693	-194
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან	-13980	-10308	3672
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	1131677	-3398	-1135075

2023 წლის ჯამური სხვაობა 3 944 ლარი (საბოლოო საკუთარი კაპიტალის მოგება/ზარალი) ნაცვლად 62 104 ლარის მოგების დაფიქსირდა 58 160 ლარის მოგება.

5. კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებები	მიწა და შენობა- ნაგებობები	ავიჯი და ოფისის აღჭურვი ლობა	სატრანსპორტო საშუალებები	ელექტრო მოწყობი ლობები	კომპიუტ ერები	სხვა ძირითა დი საშუალებები	ჯამი
საწყისი დირებულება							
ბალანსი 31.12.2021	-	809	114707	7937	2391	638	126481
შესყიდვა	459179	-	-	-	-	-	459179
გასვლა	-	-	-	-	-	-	0
გადაფასების ნამეტი							0
ბალანსი 31.12.2022	459179	809	114707	7937	2391	638	585661
შესყიდვა	59506	19185	1102	12579	6215	-	98587
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
გადაფასების ნამეტი							
ბალანსი 31.12.2023	518685	19994	115809	20516	8606	638	684248
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება							
ბალანსი 31.12.2021	-	-619	-36391	-1846	-1529	-458	-40843
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	-	-	-	-	-
ცვეთა პერიოდისათვის	-	-35	-9287	-710	-107	-23	-10162
ბალანსი 31.12.2022	-	-654	-45678	-2556	-1636	-480	-51005
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	-	-	-	-	-
ცვეთა პერიოდისათვის	-3478	-576	-9344	-1211	-690	-23	-15321
ბალანსი 31.12.2023	-3478	-1229	-55022	-3768	-2326	-503	-66325
წმინდა საბალანსო დირებულება							
ბალანსი 31.12.2021	-	190	78315	6091	862	180	85638
ბალანსი 31.12.2022	459179	155	69028	5381	755	158	534656
ბალანსი 31.12.2023	508639	18765	60786	16749	6280	135	611354

მიწა და შენობა იყო შეძენილი 2022 წლის ბოლოს.

6. კომპანიის არამატერიალური აქტივები:
ლარში

არამატერიალური აქტივები	პროგრამული უზრუნველყოფა	ჯამი
საწყისი ღირებულება		
ბალანსი 31.12.2021	1767	1767
შესყიდვა	754	754
გასვლა		
ბალანსი 31.12.2022	2521	2521
შესყიდვა		
გასვლა		
ბალანსი 31.12.2023	2521	2521
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება		
ბალანსი 31.12.2021	-462	-462
გასვლის შედეგად ელიმინირება		
ცვეთა პერიოდისათვის	-208	-208
ბალანსი 31.12.2022	-670	-670
გასვლის შედეგად ელიმინირება		
ცვეთა პერიოდისათვის	-252	-252
ბალანსი 31.12.2023	-922	-922
წმინდა საბალანსო ღირებულება		
ბალანსი 31.12.2021	1305	1305
ბალანსი 31.12.2022	1852	1852
ბალანსი 31.12.2023	1600	1600

7. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები:

ლარში	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული სალაროში	23291	31878
ფული საბანკო ანგარიშებზე	346686	296434
სულ	369977	328312

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას საბანკო ანგარიშები აქვს არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

8. კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

ლარში	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები	267 454	535 215
სხვა მოკლევადიანი აქტივები	15491	
სულ	282 945	535215

სავაჭრო მოთხოვნებში დაფიქსირებულია რაელიზებული პროდუქციის დებიტორული დავალიანება, ხოლო სხვა მოკლევადიან აქტივებში - წინასწარ გაწეული ხარჯები.

9. კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგი:

	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
მზა პროდუქცია(სარეალიზაციოდ)	102 376	150 537
ნედლეული და მასალები	3 653	360
სულ	106 029	150 897

კომპანიის სასაქონლო მარაგი შედგება იმპორტირებული ხორცპროდუქტებისგან განკუთვნილი სარეალიზაციოდ, ხოლო ნედლეულში და მასალებში საწვობისთვის და ადმინისტრაციის ყოველდღიური სამუშაო ხელსაწყოები და სხვა საჭირო ინვენტარი.

10. სხვა გრძელვადიანი აქტივები

სხვა გრძელვადიან აქტივებში ასახულია საგადასახადო აქტივი.

11. კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები:

ლარში	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
სავაჭრო ვალდებულებები	1 081 635	1 588 237
საგადასახადო ვალდებულებები	44 694	20 351
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	189 414	276 831
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1 315 743	1 885 419

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშო თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსულობა/ ზარალში.

გრძელვადიანი ნასესხები სახსრები წარმოადგენს საკრედიტო ვალდებულებას საქართველოს ბანკის მიერ რომელსაც ერიცხება პროცენტი და რომელიც რეგულირდება საანგარიშო თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსისთ. სესხი აღებულია 2022 წელს და სრულად დაიფარება 2025 წელს, კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწა და შენობა ნაგებობები დატვირთულია იპოთეკით არსებული სესხის უზრუნველსაყოფად.

საგადასახადო ვალდებულება გამოწვეულია 2023 წლის დარიცხული და 2024 წელს გადასახდელი გადასახადებით.

2023 წელს შემცირდა მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები, ასევე ნაწილობრივ დაიფარა გრძელვადიანი იპოთეკური სესხი.

12. შემოსავალი რეალიზაციიდან

ლარი

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	3 187 243	2 877 446
სულ	3 187 243	2 877 446

13. თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 2023 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
საქონლის თვითღირებულება	1 932 641	1 840 400
ნედლეულის თვითღირებულება	-	-
მომსახურების თვითღირებულება	-	-
1 932 641	1 840 400	

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2023 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2023	31/12/2022
შრომის ანაზღაურება	726 490	695 635
ცვეთა და ამორტიზაცია	15 573	10 370
საპროცენტო ხარჯი	22 014	2 228
იჯარის ხარჯი	26 237	23 271
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	58 693	62 897
849 007	794 401	

15. კურსთა შორის სხვაობა

კურსთა შორის სხვაობა	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
კურსთა შორის სხვაობა (მოგება)	181 093	367 041
კურსთა შორის სხვაობა (ზარალი)	-191 401	-199 105
სულ	-10 308	167 936

16. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალსა და ხარჯებს მიკუთვნებულია პარტნიორი კომპანიებისთვის ნაყიდი და გატანილი რეექსპორტით გაყინული ხორცი და ხორცის კომპონენტები.

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1 131 757	1 225 306
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-1 135 155	-1 224 083
სულ	-3 398	1 223

17. საკუთარი კაპიტალი

ზემოთ აღნიშნულ კორექტირების შედეგად 2023 წლის მდგომარეობით, კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1000 ლარს, რაც უცვლელია 2022 წლისთან შედარებით, 2023 წლის გაუნაწილებელი მოგება შეადგენს 57 160 ლარს -ჯამში 2023 წლის კაპიტალია 58 160 ლარი რაც 2022 წლის -333 729(ზარალი) ლართან შედარებით ზრდას წარმოადგენს.